## საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-36

ქ. თბილისი «20» 04 2011 წ.

### ღსს „აკორდ ინშაათ სანაიეს"-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკორდ ჯორჯია"-ს ასფალტის წარმოების საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა *№3, 14.04.2011წ* დაბა თიანეთში ასფალტის წარმოების ქარხნის მშენებლობის შესახებ;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. ღსს „აკორდ ინშაათ სანაიეს"-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკორდ ჯორჯია"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ღსს „აკორდ ინშაათ სანაიეს"-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკორდ ჯორჯია"- ს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: თიანეთის მუნიციპალიტეტის განცხადება; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №3, 14.04.2011წ და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ნებართვების სამსახურს, თიანეთის მუნიციპალიტეტს, ღსს „აკორდ ინშაათ სანაიეს"-ს წარმომადგენლობა საქართველოში „აკორდ ჯორჯია"-ს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციას.*